

სახელი გვარი:ლიზი ჯაბნიძე

ასაკი-14 წლის

სკოლის დასახელება-ქ.ფოთის N15 საჯარო სკოლა, VIII კლასი

წერილი ევროპელ მეგობარს-დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

ძვირფასო მეგობარო!

საშინელი, წვიმიანი ზამთრის დღე იყო. სკოლაში ვიყავი. აწითლებული ლოყებით, სიცვიდან აკანკალებული მუხლებით, თმაც მჭიდროდ მქონდა აწეული. ყველა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესზე საუბრობდა, ოღონდ საკუთარი აზრის დაფიქსირებას თავს არიდებდნენ. მგონია რომ ასეც უნდა იყოს, სკოლა არ არის პოლიტიკაზე სასაუბრო ადგილი, თუმცა ხომ შეგვიძლია ვისაუბროთ თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე, ჩვენი ქვეყნის წარსულზე. მაინც ვერავინ ვიპოვე ისეთი, ვინც ამაზე მესაუბრებოდა ისე, როგორც მინდოდა. იმ კითხვებზე პასუხს გამცემდა, რომლებიც მაინტერესებდა, ამიტომ ხელი ჩავიქნიე. კლასში შევედი, გაკვეთილის გადამეორება დავიწყე. ზარი დაირეკა, მასწავლებელმა გამომიძახა, როგორც ვვარაუდობდი. ნერვიულობისგან თითებს ვიტეხდი, ხმაშიც კანკალი შემრეოდა. შუა მოყოლის დროს ერთ-ერთმა კლასელმა შემაწყვეტინა და თქვა როგორ ტარდებოდა გაკვეთილები, როცა ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა იყო, როგორ შეგვეძლო ასე მშვიდად შეგვუბოდით ამ პროცესს. დავიბენი, ჩემთვის არაფერი უკითხავს მაგრამ მივხვდი რომ ტყუილს არაფერს ამბობდა. მასწავლებელმა კლასიდან გააგდო გაკვეთილის ჩააშლის გამო. მეც უკვე გაკვეთილის მოყოლა თითქმის დასრულებული მქონდა და გაბრაზებული ხმით მითხრა დაჯექი კარგად მოყევით.

ფანჯარასთან ვიჯექი, გაკვეთილებს ვერ ვუსმენდი. როცა არსებობს ისეთი თემები, რომლებზეც ვფიქრობდი ძალიან უინტერესოდ, არაფრის მომცემად მეჩვენებოდა ის, რაზეც კლასში დისკუსია იყო გამართული, ამიტომ დუმილი ვამჯობინე, ამავედროულად ჩუმად საერთოდ არ ვიყავი. ჩემს ფიქრებში სრული ქაოსი იყო, აზრებს ვერ ვალაგებდი, რასაც მასწავლებლის „ლიზი გამოფხიზლდი“ უფრო მირთულებდა და მირევდა. მინას ვიყავი მიშტერებული, რომელსაც წვიმის წვეთები ასველებდა. ვაკვირდებოდი წვიმის მოძრაობას, ხეების კანკალს, მობუზულ ჩიტებს, ალბათ გაფრენა დაუგვიანდათ და იყინებინან. ან ამ გზით გამოხატავენ ქვეყნის სიყვარულს, სამშობლოს არ ტოვებენ. ვფიქრობდი, რა რეალობაში ვცხოვრობთ და საერთოდ, როგორში შეიძლება გვეცხოვრა, რომ არა ის ხალხი, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს ქვეყნის გადარჩენისთვის, შვილებისთვის საუკეთესო მომავლის შექმნისთვის, დღეს ჩვენ ასე რომ გვეცხოვრა.

სკოლიდან მოსული ფიქრისგან ისეთი დადლილი ვიყავი წიგნებზე ჩამომეძინა, შენმა მესიჯებმა გამომადვილა, ჩემს სიუჟეტებზე რომ მომწერე ინსტაგრამზე და მთხოვე მომეყოლა რა ხდებოდა, მაშინ ვიგრძენი, რომ შემეძლო ეს ფიქრები დამელაგებინა და ვიღაცისთვის გამეზიარებინა. შენ ევროპაში ცხოვრობ და ალბათ, მსგავსი შინაარსის წერილი არც არასდროს მიგიღია.

მინდა გიამბო ყველაფერი რაც ვიცი, რის გამოც მაქვს შესაძლებლობა მოგწერო და მოგიყვე საქართველოს გზა დამოუკიდებლობიდან-თავისუფლებამდე. სიტყვა დამოუკიდებლობა არ არის ქართველებისთვის მხოლოდ პოლიტიკური სტატუსი. ეს გრძელი, მტკივნეული და ღირსეული გზაა, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში გამოიარა. მე უკვე დამოუკიდებლობის სტატუსიან საქართველოში დავიბადე, 2011 წელს, როცა საქართველოში მეტ-ნაკლებად უკეთესი პირობები იყო, განსხვავებით 90-იანი წლებისა. მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელშიც შემძლია დავაფიქსირო ჩემი აზრი შიშისა და შეზღუდვების გარეშე, თუმცა მაინც ვგრძნობ იმ ტკივილს, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებას ახლდა თან.

ოფიციალურად საქართველომ დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს მოიპოვა, გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენა, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლდა მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ საქართველო. დამოუკიდებლობა ჩვენი ხალხის მთავარ მიზნად ყოველთვის რჩებოდა. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვებისას თავისუფლებისკენ სწრაფვა არ დასრულებულა-პირიქით, ის მაშინ დაიწყო. ჩემმა ქვეყანამ არაერთი დაბრკოლება გამოიარა-ომები, ეკონომიკური სირთულეები, პოლიტიკური არამდგრადობა, თუმცა მაინც, დამოუკიდებლობის მოპოვება ახლის დასაწყისი იყო, რომელსაც თან ახლდა ახალი გამოწვევები, ახალი პროცესები-დემოკრატიის განვითარება, მოვიპოვეთ სიტყვის თავისუფლება, დავახლოვდით ევროპასთან. დღეს მე ვსწავლობ სკოლაში, სადაც შემძლია თავისუფლად გამოვხატო აზრი, ინტერნეტის საშუალებით გავიცნო და დავუკავშირდე მსოფლიოს, მათ შორის შენც.

9 აპრილი ჩვენთვის ტრაგედიის დღეა. 1991 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქტივისტები დაარბიეს. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ ერთს- დამოუკიდებლობას. ჩემი მშობლები, მასწავლებლები, ახლობლები იმ სასტიკ დღეს იქ იდგნენ, რომ მომავალი ყოფილიყო ნათელი, უმტკივნეულო და არა ისეთი ბნელი, სასტიკი და თავისუფლებას ტაბუდადებული როგორიც იყო მაშინ- საბჭოთა კავშირში. მაშინ ადამიანის სიკვდილით დასჯა 14 მანეთი (მაშინდელი საქართველოს ფულის ერთეული) ღირდა. სიკვდილით დასჯის შემდეგ რამდენიმე დღეში სიკვდილმისჯილთა ოჯახებს ქვითრებს უგზავნიდნენ და ახდევინებდნენ მათი შვილების მოკვლისთვის დახარჯული ტყვიების საფასურს და სიცოცხლეს, რომელიც ყველაზე ძვირფასია რა ფასი ექნებოდა იმდროინდელ საქართველოში. რა მტკივნეულია ჩემთვის ამის გაფიქრებაც კი და წარმომიდგენია რა რთული იქნებოდა მათთვის, ვინც იმ რეალობაში ცხოვრობდა, არჩევანი კი არ ჰქონდათ. ხშირად ვისმენ ბებიას ისტორიებს თავისი ბავშვობიდან, თვითონაც რომ თვალზე ცრემლი ადგება მოყოლისას. რა ძნელი იყო მაშინ ცხოვრება, შიშში, უსამართლობაში, დანაშაულის განცდასა და ტკივილში. ჩვენ ხომ ჩვენი ბებია-ბაბუების ოცნების ცხოვრებაში ვცხოვრობთ, სადაც რეალობა სრულიად განსხვავებულია ყველაფრით და ის რაც, მაშინ ყველაზე წარმოუდგენელი იყო- აზრის გამოხატვა და სიტყვის თავისუფლება, დღეს რეალობის ნაწილია.

და მაინც, როგორ მოახერხეს ეს ქართველებმა? ყოველთვის ვამბობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია რწმენა ექვებზე ძლიერი იყოს. ასეც იყო, ქართველებს სჯეროდათ,

რწმენას არ კარგავდნენ, რომ მათი ბრძოლა შედეგს გამოიღებდა. როცა იმას გაიაზრებ, რომ ერთადერთი, ვისაც შენი დამარცხება შეუძლია ხარ თავად შენ, გახდები უფრო ძლიერი და მიზნის მიღწევამდე გზა შემოკლდება. საუკუნეების მანძილზე, როცა ქართველების ბრძოლა მარცხით სრულდებოდა, ზუსტად მაშინ მიხვდნენ, რომ რთულია გამარჯვება და მისი ხელიდან გაშვება კიდევ უფრო რთული. თუ ცოცხალი ხარ, ანუ ყველაფერი შეგიძლია, ისიც, რომ იხსნა სამშობლო ტყვეობისგან.

მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეს თავისუფლება ჯერ კიდევ არ გვიქცევია ნამდვილ შესაძლებლობად. მიუხედავად დიდი წინსვლებისა ვფიქრობ რომ საქართველოს გემს თავისუფლების კუნძულამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, თუმცა რამდენიმე კარგი მეზღვაური ამბობს, რომ ხმელეთს ხედავენ და ამ კუნძულსაც მალე მივაღწევთ სადაც არ დაგვხვდება სოციალური უთანასწორობა, ხარვეზები განათლების სისტემაში, ადამიანის უფლებების დარღვევა, უსამართლობა.

თავისუფლება ხომ საბოლოო წერტილი არასდროსაა-ის გზაა. ამ გზას თან ახლავს გამოწვევები, ბრძოლა სამართლიანობისთვის, თანასწორობისთვის, განათლებისთვის და იმ ღირებულებებისთვის, რომლებიც თქვენთვის- ევროპელი საზოგადოებისთვისაა საძირკველი. ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გასავლელი, თუმცა მთავარი ისაა, რომ ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომელსაც ევროპული თავისუფლება ჰქვია.

მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ერთ დღეს მე და შენ შევხვდებით, როგორც ორი თავისუფალი ქვეყნის წარმომადგენელი – თანასწორობის, დემოკრატიისა და ჰუმანური ღირებულებების ერთგული ახალგაზრდები. ჩვენ ვიქნებით ის თაობა, რომელიც არ ელოდება უკეთეს მომავალს, არამედ თავად ქმნის მას. რადგან თავისუფლება მხოლოდ მიზანი არ არის – ის პასუხისმგებლობაცაა. მოდი, ერთად ვიბრძოლოთ ისეთი სამყაროსთვის, სადაც თითოეული ადამიანის ხმა ისმის, ღირსება კი დაურღვეველია. ეს იქნება ჩვენი საერთო ევროპული გზა – თავისუფლების, ერთობისა და მშვიდობისკენ.

სიყვარულით შენი ქართველი მეგობარი-ლიზი

Dear Friend,

It was a terrible, rainy winter day. I was at school, with flushed cheeks, trembling knees from the cold, and tightly tied-up hair. Everyone was talking about what was happening in the country, but no one dared to express their own opinion. I believe that's how it should be—school is not the place to talk about politics. However, can't we talk about freedom, independence, our country, and its past? Still, I couldn't find anyone who would join me in this kind of conversation, in the way I wanted—someone who would answer the questions that interested me. So I gave up. I went into class and started reviewing the lesson. The bell rang, and as I expected, the teacher called on me. I was so nervous that I was twisting my fingers, and my voice trembled. In the middle of my presentation, one of my classmates interrupted, saying how we could carry on with lessons when the country was in such a state—how we could accept everything so calmly. I was confused. He wasn't even addressing me directly, but I realized he wasn't wrong. The teacher sent him out of the class for interrupting. I was almost done with my presentation, and the teacher, clearly irritated, told me to sit down and said I had done well.

I was sitting by the window, unable to focus on the lessons. When you think about certain topics deeply, everything else seems unimportant and meaningless, even the classroom discussions. So I remained silent, though I wasn't truly quiet. My mind was in complete chaos, tangled thoughts I couldn't sort out. The teacher's "Lizi, pay attention!" only made it harder. I was staring at the window, watching raindrops slide down the glass. I observed the movement of the rain, the shaking trees, the shivering birds—maybe they were late to migrate, maybe they were freezing. Or maybe this is how they show love for their homeland—they refuse to leave it. I thought about the reality we live in and how different it might have been if not for those who fought till the end to save the country, so that we could live the way we do today.

When I got home from school, I was so exhausted from thinking that I fell asleep on my books. Your messages woke me up—you had written to me about my stories on Instagram and asked me to tell you what was happening. That's when I felt I could finally organize my thoughts and share them with someone. You live in Europe, and perhaps you've never received a letter like this before.

I want to tell you everything I know—the reason I'm able to write to you now, and the story of Georgia's journey from independence to freedom. For Georgians, the word "independence" is not just a political status. It's a long, painful, and honorable journey that our people have traveled for centuries. I was born in a country that already had this status—in 2011—when conditions in Georgia were more or less better, unlike in the 1990s. I belong to a generation that can express opinions freely, without fear or restrictions, yet I still feel the pain that came with gaining independence.

Officially, Georgia declared independence on April 9, 1991, restoring its independence based on the May 26, 1918 Act. After years of struggle, Georgia freed itself from the Soviet Union. Independence has always been the ultimate goal of our people. But the struggle for freedom didn't end with independence—it actually began then. My country faced many obstacles—wars, economic hardship, political instability—but gaining independence marked a new beginning, bringing new challenges and processes: the development of democracy, freedom of speech, and closer ties with Europe. Today, I go to a school where I can freely express myself and connect with the world through the internet—including with you.

April 9 is a tragic day for us. On April 9, 1991, peaceful activists were brutally attacked. The demonstrators were asking for one thing—independence. My parents, teachers, and relatives stood there on that brutal day so that the future could be bright and painless—not dark, cruel, and silenced like it was under the Soviet Union. Back then, the death penalty in Georgia cost 14 maneti (the currency at the time). Families of those executed were sent receipts and forced to pay for the bullets used to kill their loved ones. If life is the most valuable thing, what value could it possibly have had in such a time? It pains me to even think about this, and I can only imagine how hard it must have been for those who lived it, with no choice. I often hear stories from my grandmother about her childhood, and she tears up every time she tells them. Life was so hard—filled with fear, injustice, guilt, and sorrow. We live the life our grandparents once dreamed of, where reality is completely different and where what once seemed unimaginable—freedom of speech and expression—is now part of everyday life.

And still, how did Georgians manage this? I always say that it's crucial for faith to be stronger than doubt. That's exactly what happened. Georgians believed—they never lost hope that their struggle would bring results. When you realize that the only one who can defeat you is yourself, you become stronger and the road to your goal becomes shorter. Over centuries, when the Georgian fight ended in failure, that's when they understood—winning is hard, but losing that victory is even harder. If you are alive, then you can do anything—even save your homeland from captivity.

Since gaining independence, we haven't yet turned that freedom into a full opportunity. Despite significant progress, I believe that Georgia's ship still has a long journey to reach the island of true freedom. But a few good sailors say they can already see the land, and soon we'll reach an island free of social inequality, flaws in the education system, human rights violations, and injustice.

Because freedom is never a final destination—it's a path. A path full of challenges, a struggle for justice, equality, education, and the values that form the foundation of your European society. We still have a long way to go, but the most important thing is that we are walking the path called European freedom.

I believe and hope that one day, you and I will meet as representatives of two free countries – young people united by a commitment to equality, democracy, and human values. We will be the generation that doesn't wait for a better future, but creates it with our own hands. Because freedom is not only a goal – it is a responsibility. Let us fight together for a world where every voice is heard and every person's dignity is protected. This will be our shared European path – toward freedom, unity, and peace.

With love,
Your Georgian friend,
Lizi

